

შპს „საგურამო ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
6. ძირითადი საშუალებები	16
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	17
8. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები.....	17
9. კაპიტალი.....	17
10. ნასესხები სახსრები.....	18
11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19
12. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	19
13. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	19
14. პირობითი ვალდებულებები	19
15. ფინანსური ინსტრუმენტები	20
16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საგურამო ენერჯის“ ხელმძღვანელობასა და მშობელ კომპანიას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საგურამო ენერჯის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს-ი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მშობელი კომპანია პასუხისმგებელი არის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ მშობელ კომპანიას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებთ, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



მარჩელო გელაშვილი

შპს „იუაის“ სახელით

30 აპრილი, 2019 წ.

თბილისი, საქართველო


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.	1 იანვარი, 2017 წ.
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5,797	6,237	6,642
გაცემული სესხები	15	9,345	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		76	78	86
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,218	6,315	6,728
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	214	359	351
მისაღები პროცენტი	16	312	-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		163	114	252
მოგების გადასახადის გარდა				
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	15	1,028	1,299	317
სხვა მოკლევადიანი აქტივები		4	22	3
სულ მიმდინარე აქტივები		1,721	1,794	923
სულ აქტივები		16,939	8,109	7,651
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	230	2,230	2,230
გაუნაწილებელი მოგება / (აკუმულირებული დანაკლისი)		1,492	247	(1,305)
სულ კაპიტალი		1,722	2,477	925
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	10	14,231	5,183	5,267
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		22	20	20
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,253	5,203	5,287
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	10	749	212	681
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	107	191	704
სხვა საგადასახადო დავალიანება		108	26	54
სულ მიმდინარე ვალდებულებები		964	429	1,439
სულ ვალდებულებები		15,217	5,632	6,726
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		16,939	8,109	7,651

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 აპრილს:



ირაკლი ბაბუხაძე
გენერალური დირექტორი

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან	4	2,991	3,331
სულ შემოსავალი		2,991	3,331
გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	4	(359)	(280)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	12	(100)	(113)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(62)	(67)
პროფესიული გასამრჯელო		(54)	(1)
სხვა შემოსავალი		-	11
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(66)	(55)
		(641)	(505)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		2,350	2,826
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	15	351	29
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	10	(1,003)	(839)
საკურსო ზარალი		-	(3)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(453)	(461)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		1,245	1,552
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		1,245	1,552
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი გადასახადის გამოკლებით		1,245	1,552

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი დანაკლისი)	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,230	(1,305)	925
წლის მოგება	-	1,552	1,552
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,552	1,552
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,230	247	2,477
წლის მოგება	-	1,245	1,245
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,245	1,245
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,000)	-	(2,000)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	230	1,492	1,722

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		1,245	1,552
კორექტირებები:			
ცვთა და ამორტიზაცია		453	461
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		-	3
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	15	(351)	(29)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	10	1,003	839
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილების განხორციელების შედეგად			
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		145	(8)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(49)	138
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში		18	(19)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(84)	23
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		82	(28)
მიღებული პროცენტი		39	29
გადახდილი პროცენტი	10	(1,129)	(800)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,372	2,161
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	6, 11	(19)	(586)
სესხების გაცემა	16	(9,345)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(9,364)	(586)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ამონაგები სესხებიდან	10	15,000	5,706
ნასესხები სახსრების დაფარვა	10	(5,289)	(6,298)
საწესდებო კაპიტალის შემცირება		(2,000)	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული (ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		7,711	(592)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		10	(1)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(271)	982
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,299	317
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,028	1,299

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „საგურამო ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2008 წლის 11 დეკემბერს, თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილების საფუძველზე და ის წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი“-სა (ყოფილი შპს „მალტიპლექს ენერჯი ბი-ვი-აი“) და შპს „ტარა ინთერნეიშენალ ბი ვი“-ს შორის 2014 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოხდა კომპანიის პრივატიზება და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი“-მ (შემდგომში „GGU“ ან „მშობელი კომპანია“) შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი.

კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გამომუშავება საკუთარი მოხმარებისთვის და ელექტროენერგიის ღია ბაზარზე გასაყიდად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: კოსტავას ქ. პირველი შესახვევი #33, 0179 თბილისი, საქართველო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“ („ბიჯეო“).

2018 წლის 29 მაისს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაასრულა მისი ბიზნეს საქმიანობების დაყოფა - ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საბანკო მიმართულებად („საბანკო საქმიანობა“) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფად“ და ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საინვესტიციო მიმართულებად („საინვესტიციო საქმიანობა“) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“. შედეგად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“ კომპანიის საბოლოო მკონტროლებელი მხარე გახდა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არცერთი აქციონერი ფიზიკური პირი არ ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ აქციების 8%-ზე მეტს.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოს სოფელ საგურამოში. როგორც ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარი, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნეს-ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკებს იმისა, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გაძლიერებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისთვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. მომზადების საფუძველი

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება პირველი ანგარიშგებაა, რომელიც კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით მოამზადა. არცერთი წინა ფინანსური ანგარიშგება არ მომზადებულა საერთაშორისოდ აღიარებული ადგილობრივი სააღრიცხვო პროცედურების („ადგილობრივი GAAP“) მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ფასს-ის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის შედარებად ინფორმაციასთან ერთად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია ფასს-ზე გადავიდა. ფასს (IFRS) 1-ით დაშვებული გამონაკლისები კომპანიას არ გამოუყენებია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები განსაზღვრულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდთან მიმართებაში, ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) და ფასს (IFRS) 15-ის (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) გარდა (მე-4 შენიშვნა).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ახალი ან გადახდილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ პირველად მიიღო ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს (IFRS) 15, „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი. რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს (IFRS) 15 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 11-ს (სამშენებლო ხელშეკრულებები), ბასს (IAS) 18-ს (შემოსავალი და შესაბამისი ინტერპრეტაციები) და შეზღუდული გამონაკლისის სახით იყენებს მათ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ყველა ამონაგებთან მიმართებაში. ფასს (IFRS) 15 ადგენს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი შემოსავლის აღრიცხვის ხუთ-საფეხურიან მოდელს და მოითხოვს, რომ ამგვარი შემოსავლების აღიარება მოხდეს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ფასს (IFRS) 15 საწარმოებისგან მოითხოვს მსჯელობის გამოყენებას და ყველა შესაბამისი ფაქტის და ვითარების გათვალისწინებას მოდელის ყველა საფეხურზე მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას. ამასთან, სტანდარტი მოითხოვს მეტად დეტალურ განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიამ ვადაზე ადრე მიიღო ფასს (IFRS) 15, მიღების მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. ამ მეთოდის ფარგლებში, სტანდარტი შესაძლოა უფრო ადრე იქნას მიღებული ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებაში თავდაპირველი გამოყენებისას ან მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის დასრულებული ამ თარიღისთვის. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება სტანდარტი გამოეყენებინა ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებაში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფასს (IFRS) 15-ის მიღებას არსებითი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. შესაბამისად, შედარებადი ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი და მისი აღრიცხვა გრძელდება ბასს (IAS) 11-ის, ბასს (IAS) 18-ის და შესაბამისი ინტერპრეტაციების საფუძველზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან გადახდილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) საბოლოო ვერსია, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) და ფასს (IFRS) 9-ის ყველა ადრინდელ ვერსიას. ფასს (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს (IFRS) 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით.

კომპანიამ ახალი სტანდარტი მიიღო მოთხოვნილ ამოქმედების თარიღში და ჩაატარა ფასს (IFRS) 9-ის სამივე ასპექტის სიღრმისეული შეფასება. ახალი სტანდარტის მიღებას არ უმოქმედია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფასს (IFRS) 9-ის გავლენის სფეროში გამოვლენილი აქტივების ჯგუფები წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

ბანკში არსებული ფულადი სახსრები

ბანკში არსებული ფულადი სახსრების მოკლევადიანობისა და მაღალი ლიკვიდურობის გამო, კომპანიამ შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეაფასა. ამიტომ, ბანკში არსებული ფულადი სახსრებისთვის კომპანიას გაუფასურება არ უღიარებია ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს მოთხოვნებს ელექტროენერგიის გაყიდვებიდან, რომლებიც არც ვადაგადაცილებულის და არც - გაუფასურებულის კატეგორიაში ხვდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეული კლიენტისთვის, ვადაგადაცილებული თარიღების საფუძველზე.

შედეგად, ფასს (IFRS) 9-ისმიღებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ ჰქონია.

სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიის საქმიანობების შესაბამის ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციას, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ფასიკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS)15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

შემდგომი შეფასების მიზნით, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, გაცემულ სესხებს და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. კომპანიის ფინანსური აქტივები მიმდინარე აქტივებში შედის, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი აქტივები გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ბიზნესმოდელის ფარგლებში მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის ცვლილება ან გაუფასურება.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომელთა ფლობა არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით.

მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობით ან ვადაგადაცილებით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მხარეზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სესხისგან.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. ამ დანახარჯებში ასევე შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებული იქნება.

უმნიშვნელო შეცვლების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად იქნება და ხელმისაწვდომი გახდება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივის შემდგომი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის გათვალისწინებით. 2017 წლის ივლისში კომპანიამ ხელახლა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების არსებული ვადები, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული დაშვებების საფუძველზე. კომპანიას განსაზღვრული აქვს აქტივის რამდენიმე კლასის სასარგებლო გამოყენების ვადა:

	სასარგებლო გამოყენების ვადები შეცვლამდე	შეცვლილი სასარგებლო გამოყენების ვადები
უმრავი ქონება	50 წელი	60 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	10-40 წელი	8-45 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3 წელი	5-10 წელი

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ნამეტი შემოსავალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმავე წელს, რომელშიც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების შეფასება ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება გაუფასურებული იყოს. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის გაუფასურების დასადგენად მისი წლიური შემოწმება საჭირო, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძენება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის შეფასების შესაბამისი მეთოდი გამოიყენება.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იზეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიზეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იზეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მოთხოვნამდე ანაზრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში მათი გადახდის შემთხვევაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოიშვება საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშფაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯს, რომელიც დაანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმის გამო, რომ კომპანიის ნასესხები სახსრები არ უკავშირდება აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, ნასესხები სახსრები სრულად აღიარებულია ხარჯად მათი გაწევის პერიოდში.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასს-ში და კომპანია მას განსაზღვრავს, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე და ის მიიღება, როგორც კომპანიის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე. EBITDA არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, დაფინანსების ხარჯები და საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და ნება, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით ან უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სხვა ოპერაციებით გამოწვეული ნამეტი შემოსავალი და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც წმინდა საკურსო ზარალი.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სეზ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია ნამეტი შემოსავლის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სეზ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.6766, 2.5922 და 2.6468 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. შემოსავლისა და ხარჯის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან აღიარებულია მრიცხველით აღრიცხული მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე და შესაბამისი ტარიფის გამოყენებით. საგურამოს ჰიდროელექტრო სადგური დერეგულირებულ ჰიდროელექტრო სადგურს წარმოადგენს, შესაბამისად ის ელექტროენერგიას კლიენტებზე ყიდის საბაზრო ფასებზე. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სამი (2017 წ.: ოთხი) კლიენტი ჰყავს: სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო“ და „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“ (2017 წ.: სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო“, შპს „ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი“ და შპს „ჯორჯიან მანგანეზი“).

გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება

ელექტროენერგიის გაყიდვის თვითღირებულება მოიცავს წყალს და ელექტროენერგიას, რომელიც ძირითადად გამოიყენება ელექტროენერგიის წარმოების მიზნით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის ან, სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახდევს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარებულია, როგორც საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გზით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალური ახალი სტანდარტები, რომლებმაც შეიძლება რამე გავლენა იქონიონ კომპანიაზე, ან რომელთა გავლენებიც ამჟამად ფასდება, შემდეგია:

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ით დადგენილი პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამოიყენებს იგივე ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS)16-ით, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე ხდებოდა.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 16 (იჯარები), რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

ფასს-ის წლიური გაუმჯობესება – 2015-2017 წ.წ. ციკლი

ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“

ცვლილებები განმარტავენ, რომ საწარმო განსაკუთრებული აქტივებისთვის შესამუშავებლად თავდაპირველად ნასესხებ თანხებს მიიჩნევს ზოგად სესხებად, როდესაც დასრულებული ამგვარი აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისთვის საჭირო მნიშვნელოვანწილად ყველა საქმიანობა. საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან ნასესხებ სახსრებზე, რომელშიც საწარმომ პირველად გამოიყენა ეს ცვლილებები. საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან კომპანიის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ცვლილებას, კომპანია არ მოელის, რომ ამგვარი გაუმჯობესება გავლენას მოახდენს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

კომპანია ყოველწლიურად ატარებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადების მქონე არამატერიალური აქტივების და ნებისმიერი ისეთი აქტივის გაუფასურების ტესტირებას, რომელთა გაუფასურების მაჩვენებლებიც იდენტიფიცირებულია. გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. .

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა მისი გამოყენების ღირებულების სახით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის საფუძველზე. მნიშვნელოვანი დაშვებებისთვის მინიჭებული მაჩვენებლები წარმოადგენს კომპანიის მომავალი მაჩვენებლის ხელმძღვანელობისთვის შეფასებას, მაკრო-ეკონომიკურ ფაქტორებს და ტენდენციებს ელექტროენერგიის წარმოების ინდუსტრიაში. ამ გაანგარიშებებში გამოიყენება ფულადი ნაკადები პროგნოზირება, დადგენილი ფინანსური ბიუჯეტების საფუძველზე, ხუთწლიანი პერიოდისთვის და არ მოიცავს მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომლებიც გააუმჯობესებს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმებული აქტივების ეფექტურობას. ფულადი ნაკადები ხუთწლიანი პერიოდის მიღმა ექსტრაპოლირდება მოსალოდნელი ტერმინალური ზრდის განაკვეთის გამოყენებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირების მნიშვნელოვანი დაშვებები:

დაშვება	ღირებულება
კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC)	14.03%
გრძელვადიანი ზრდის ტემპი	3.52%

ზემოთ მოცემული დაშვებების საფუძველზე, კომპანიის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურებული არ არის. ჩატარდა მნიშვნელოვან დაშვებებში (ტერმინალური ზრდის განაკვეთი, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, EBITDA-ს მარჟა, ტარიფები, საპროგნოზო მოცულობები და კაპიტალური დანახარჯები) ცვლილებების მგრძნობელობის ანალიზი. ანაზღაურებადი ღირებულება მკაცრად მგრძნობიარეა ტერმინალური ზრდის განაკვეთის მიმართ, რომელიც გამოიყენება ექსტრაპოლაციური მიზნებისთვის, ასევე დისკონტირებული ფულადი ნაკადებისთვის გამოყენებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და ამ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება. 2017 წელს კომპანიამ ხელახლა შეაფასა და გადასინჯა თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები (მე-4 შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუ- ქტურული აქტივები ¹	საწარმოო და საოფისე აღჭურვი- ლობა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა ¹	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	17	1,145	5,663	22	54	6,901
შესყიდვები	-	1	11	2	5	19
გასვლები	-	-	-	-	(8)	(8)
პირვანდელი ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბერს	17	1,146	5,674	24	51	6,912
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2017 წ.	-	28	628	8	-	664
ცვეთის დანარიცხი	-	20	427	4	-	451
31 დეკემბერი, 2018 წ.	-	48	1,055	12	-	1,115
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2017 წ.	17	1,117	5,035	14	54	6,237
31 დეკემბერი, 2018 წ.	17	1,098	4,619	12	51	5,797

¹ კომპანიის ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს მილსადენებს, ტურბინებსა და ელექტრო მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება გასაყვანი ელექტროენერგიის წარმოებისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუ- ქტურული აქტივები ¹	საწარმოო და საოფისე აღჭურვი- ლობა	დაუმთავ- რებელი მშენებლობა ¹	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარს	17	1,133	5,647	22	34	6,853
შესყიდვები	-	12	17	1	20	50
გასვლები	-	-	(1)	(1)	-	(2)
პირვანდელი ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	17	1,145	5,663	22	54	6,901
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2017 წ.	-	7	202	2	-	211
ცვეთის დანარიცხი	-	21	426	6	-	453
31 დეკემბერი, 2017 წ.	-	28	628	8	-	664
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი, 2017 წ.	17	1,126	5,445	20	34	6,642
31 დეკემბერი, 2017 წ.	17	1,117	5,035	14	54	6,237

¹ კომპანიის ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს მილსადენებს, ტურბინებსა და ელექტრო მოწყობილობებს, რომლებიც ელექტროენერგიის გაყვანის განსახორციელებლად გამოიყენება.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები დაგირავებული იყო საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის გაცემული გარანტიის უზრუნველყოფის სახით (მე-14 შენიშვნა). თავდებობა შეწყდა 2018 წლის 6 სექტემბერს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებაში შესულია სავაჭრო მოთხოვნები ელექტროენერგიის გაყიდვიდან 214 ლარის (2017 წლის 31 დეკემბერს: 359 ლარი და 2017 წლის 1 იანვარს: 348 ლარი) და ისინი არ მოიცავდა სხვა მოთხოვნებს (2017 წლის 31 დეკემბერს: ნული, 2017 წლის 1 იანვარს: 3 ლარი).

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს და ისინი ლარშია გამოხატული.

ხელმძღვანელობამ ჩაატარა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით. 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, არცერთი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული.

8. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2018 წელს კომპანიამ აღიარა ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 2,991 ლარის (2017 წ.: 3,331 ლარი) ოდენობით. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული მოთხოვნა 214 ლარის ოდენობით, რომელიც შესულია სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში (2017 წ.: 359 ლარი).

9. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას სრულად ჰქონდა განხორციელებული შენატანი საწესდებო კაპიტალში 2,230 ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში ერთადერთმა მშობელმა კომპანიამ მიიღო საწესდებო კაპიტალის 2,000 ლარით შემცირების გადაწყვეტილება და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 230 ლარი.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან შექმნას აქციონერებისთვის უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის - სარგებელი;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ საკუთარ კაპიტალს. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

2018 და 2017 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

10. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2018 წ.		31 დეკემბერი, 2017 წ.		1 იანვარი, 2017 წ.	
	მიმდინარე ვალდებუ- ლებები	გრძელვა- დიანი ვალდებულე- ბები	მიმდინარე ვალდებუ- ლებები	გრძელვა- დიანი ვალდებუ- ლებები	მიმდინარე ვალდებუ- ლებები	გრძელვა- დიანი ვალდებუ- ლებები
საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები	749	14,231	-	-	555	4,525
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სესხები	-	-	212	5,183	126	742
ნასესხები სახსრები, სულ	749	14,231	212	5,183	681	5,267

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ლარში გამოხატულ სესხებს სს „თიბისი ბანკისგან“, 14,980 ლარის და 5,080 ლარის ოდენობით (შესაბამისი თანმიმდევრობით).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მოიცავდა ლარში გამოხატულ სესხს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისგან“ 5,395 ლარის ოდენობით, (2017 წლის 1 იანვარს: 868 ლარი) ფიქსირებული 16,94%-იანი განაკვეთით (2017 წლის 1 იანვარს: 18%).

2018 წელს კომპანიამ გასწია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები 1,003 ლარის (2017 წ.: 839 ლარი) ოდენობით.

სესხები მიიღება გარკვეული ფინანსური პირობებით, როგორიცაა სხვადასხვა ლიმიტების დაცვა ნასესხები სახსრების EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტისთვის, კაპიტალური ინვესტიციებისათვის და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებდა ყველა სასესხო ხელშეკრულების პირობებს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს ვალდებულებები ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში.

სესხების დაფარვის საშუალო ვადა 12 წელი (2017 წ.: 10 წელი).

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ნასესხები სახსრები
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,948
ფულადი შემოსავალი	5,706
გადახდილი ფულადი სახსრები	(6,298)
დარიცხული პროცენტი	839
გადახდილი პროცენტი	(800)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	5,395
ფულადი შემოსავალი	15,000
გადახდილი ფულადი სახსრები	(5,289)
დარიცხული პროცენტი	1,003
გადახდილი პროცენტი	(1,129)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	14,980

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	<i>31 დეკემბერი, 2018 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2017 წ.</i>	<i>1 იანვარი, 2017 წ.</i>
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	101	186	168
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	-	-	536
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	6	5	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	107	191	704

12. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	<i>2018</i>	<i>2017</i>
ხელფასები	93	101
პრემიები	7	12
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	100	113

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

	<i>2018</i>	<i>2017</i>
სადაზღვევო ხარჯი	55	49
მარეგულირებელი ორგანოს მოსაკრებელი	10	-
ელექტროენერგიის და გადაცემის ხარჯები	1	6
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	66	55

14. პირობითი ვალდებულებები**ვალდებულებები**

2017 წლის 29 დეკემბერს პაშა ბანკთან გაფორმებული სოლიდარული გირაოს ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ გასცა გარანტიები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების - „რუსთავის წყალი“ და „მცხეთის წყალი“ - მიმართ და, როგორც თავდებმა, იკისრა სოლიდარული ვალდებულება ბანკის მიმართ. ხელშეკრულების თანახმად, თავდები ვალდებული გახდა გადაიხადოს სესხად აღებული სახსრების მთლიანი თანხა, მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. პაშა ბანკისგან მიღებული სესხები შეადგენდა 8,000 ლარს და 1,100 ლარს შპს „რუსთავის წყლისთვის“ და შპს „მცხეთის წყლისთვის“ (შესაბამისად). კომპანია სრულად დაგირავებული იყო მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში. თავდებობა შეწყდა 2018 წლის 6 სექტემბერს.

პირობების დაკმაყოფილება

კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს თავისი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული გარკვეული პირობები. ამ პირობების დაუკმაყოფილებლობას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოყვეს კომპანიისთვის, მათ შორის, სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტა და სესხის თანხის ან მისი ნაწილის დაკავება. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს ვალდებულებები ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

15. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ფლობდა რამე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია, მაგრამ არა გაუფასურებული.

გაცემული სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული გრძელვადიანი სესხები და მისაღები პროცენტი წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებზე - შპს „რუსთავის წყალი“ და შპს „მცხეთის წყალი“ - გაცემულ სესხებს 8,301 და 1,356 ლარის ოდენობით (შესაბამისად), ფიქსირებული 16,94%-იანი განაკვეთებით და 12-წლიანი დაფარვის ვადებით.

გაცემული სესხებიდან ფინანსური შემოსავალი 2018 წლის განმავლობაში 312 ლარი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი

თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გასწევს სავალუტო და საკრედიტო რისკებს. კომპანიის ხელშეწყობაზე ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია განიცდის ზარალს, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფებთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა - ყოველწლიურად ან უფრო ხშირად ხდება.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 1,028 ლარის ოდენობის თანხიდან (2017 წ.: 1,299 ლარი), 1,000 ლარი (2017 წ.: 71 ლარი) ინახებოდა Standard & Poor'-ის „BB-/bb-“, რეიტინგის, Moody-ს „B1/NP“ (FC) & „Ba3/NP“ (LC)-ს და Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული „BB-/bb-“ რეიტინგების მქონე ბანკებში;
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-7 შენიშვნა).
- ▶ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვის გაცემული სესხები, რომლებიც არ ექვემდებარება საკრედიტო რეიტინგის შეფასებას.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)***ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუქირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1-დან 3 წლამდე</i>	<i>3-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2018 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	2,240	4,481	4,481	15,311	26,513
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	107	-	-	-	107
სულ მომავალი გადახდები	2,347	4,481	4,481	15,311	26,620
2017 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	-	-	-	5,395	5,395
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	191	-	-	-	191
სულ მომავალი გადახდები	191	-	-	5,395	5,586
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	2,121	4,659	-	-	6,780
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	704	-	-	-	704
სულ მომავალი გადახდები	2,825	4,659	-	-	7,484

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები. ამასთან დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები შედგება კომპანიის ისეთი „დოზილი“ საწარმოებისგან, რომლებსაც აკონტროლებს კომპანიის მშობელი კომპანია.

სხვა დაკავშირებული მხარეები წარმოდგენილია „ჯორჯია კაპიტალის“ წევრებით, გარდა იმ მხარეებისა, რომლებიც საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში შედიან. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ბანკის ჯგუფის საწარმოები არ მოიაზრებიან დაკავშირებულ მხარეებად.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2018 წ.		31 დეკემბერი, 2017 წ.		1 იანვარი, 2017 წ.	
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები ¹	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები ¹
გადახდილი ავანსები	-	-	-	16	-	-
1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი სესხები	-	-	-	-	-	-
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	9,345	-	1,200	-	-	-
წლის განმავლობაში მისაღები პროცენტი	312	-	28	-	-	-
წლის განმავლობაში დასაფარი სესხები	-	-	(1,228)	-	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხები	9,657	-	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	24	6	185	-	173	-
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-	-
1 იანვრის მდგომარეობით	5,395	-	868	-	-	-
ამონაგები სესხებიდან	734	-	5,502	-	-	-
ნასესხები სახსრების დაფარვა წლის განმავლობაში	(6,129)	-	(975)	-	-	-
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	5,395	-	-	-

¹ წინა წლის მაჩვენებლები მოიცავდა „ბიჯეო ჯგუფის“ კომპანიებში არსებულ ნაშთებს. გამოყოფის შემდეგ (1-ელი შენიშვნა), საქართველოს ბანკის ჯგუფის საწარმოები არ მოიაზრებიან დაკავშირებულ მხარეებად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	2018		2017	
	საერთო კონტროლს დაექვემდებარე- ბული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	საერთო კონტროლს დაექვემდებარე- ბული საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები ¹
შემოსავალი და ხარჯები				
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	312	-	28	-
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(734)	-	(299)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(55)	-	(49)
გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	(354)	-	(280)	-

¹ წინა წლის მაჩვენებლები მოიცავს შემოსავალს და ხარჯებს ბიჯეო ჯგუფის კომპანიებთან.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2019 წლის 30 აპრილს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.